სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი **2015 წლის 26 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. სოსიაშვილი თათია 6. ხომერიკი რამაზი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. ხაჩიძე მანანა 10. ბექაური ბექა 11. თუმანიშვილი გიორგი 12. თოდუა ნონა 13. კვირიკაშვილი ბახვა 14. კუპრაძე ირაკლი 15. მარგველაშვილი ვლადიმერი 16. გიორგაძე გიორგი 17. წერეთელი მარი 18. შამილიშვილი მანანა 19. ლორთქიფანიძე ლევანი 20. საბაური შალვა 21. ჩახუნაშვილი ნინო 22. ლორია კახაბერი 23. გორდეზიანი ლევანი 24. გელოვანი ნანი 25. თაბუაშვილი აპოლონი 26. ბრაჭული ირაკლი 27. ოთხმეზური გიორგი 28. პაიჭაძე თამარი 29. ჯეგაშვილი ნანა 30. მინდიაშვილი თეონა 31. სამხარაძე ლაშა 32. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. სურგულაძე ნუგზარი 4. ომანაძე როლანდი 5. სილაგაძე ავთანდილი 6. მარშავა ქეთევანი 7. ჭკუასელი ქეთევანი 8. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება
2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №55/2015 დადგენილების დამტკიცება
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №56/2015 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №57/2015 დადგენილების დამტკიცება

5. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №58/2015 დადგენილების დამტკიცება

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ჩატარებული რემონტების შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების (ჯართის) რეალიზაციის საკითხი

7. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების პროექტი. მისი განცხადებით, დებულების პროექტში აისახა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი, გაიმართა რამდენიმე მუხლი ტექნიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ უკვე მიიღო წარმოდგენილი პროექტი, რომელიც, უნივერსიტეტის წესდების თანახმად, საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება. (დანართი 3)

2. ბატონმა გია მამულაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს წარმოუდგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“

აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №55/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილებით იცვლება ცენტრის სახელწოდება და მას „უწყვეტი განათლებრის ცენტრი“ დაერქმევა, ასევე, სტრუქტურას ემატება ერთი განყოფილება - საბავშვო უნივერსიტეტი, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ბაზაზე, თუმცა მისი მენეჯმენტი არცერთი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში არ შედიოდა. ასევე, ვინაიდან ცენტრი იზრდება და სერიოზული მიზნები აქვს დასახული, შემოღებულ იქნება უფროსის მოადგილის თანამდებობა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ და ელგუჯა მექვაბიშვილმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან მარშავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №55/2015 დადგენილება. (დანართი 4)

3. მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, „სსიპ ბატონმა ნუგზარ ღლონტმა წარმოადგინა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №56/2015 დადგენილება. ბატონმა ნუგზარ ღლონტმა განაცხადა, რომ ინსტიტუტის უნივერსიტეტთან შემოერთების შემდეგ, ფაქტობრივად, ძველი დებულებით მოქმედებდნენ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ ინსტიტუტის ახალი დებულება შექმნილიყო. დებულება მოამზადა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, პროექტმა გაიარა შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზა და მიიღო აკადემიურმა საბჭომ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №56/2015 დადგენილება. (დანართი 5)

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №57/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლითაც უნივერსიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა, ეკონომიკური შემოსავლებიდან გარკვეული თანხა გამოყონ ღვაწლმოსილი ყოფილი თანამშრომლების ანაზღაურებისათვის. რექტორის მრჩეველთა საბჭოს, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლობით მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომელიც ადგენს ამ ანაზღაურების გაცემის წესსა და პირობებს. დადგენილება უკვე მიიღო აკადემიურმა საბჭომ და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა შალვა საბაურმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არა აქვს სახარბიელო ფინანსური მდგომარეობა, სტუდენტთა ნაწილი სოციალურად შეჭირვებულია და თანხის არარსებობის გამო ვერ აგრძელებს სწავლას. ამ პირობებში, თუნდაც ეკონომიკური შემოსავლებიდან თანხის ყოფილი თანამშრომლების ანაზღაურებისთვის დადგენა არამიზანშეწონილია.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განმარტა, რომ აღნიშნული წესით არ დგინდება უნივერსიტეტის ბიუჯეტში კონკრეტული თანხა, რომელიც უნდა განიკარგოს ხსენებული მიზნის შესაბამისად. ბიუჯეტს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო და უშუალოდ მისი წევრების გადასაწყვეტი იქნება ამ მიზნით მომავალი წლის ბიუჯეტში რა სახსრები

გამოიყოფა. ამასთან, ეს თანხა მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლების ნაწილიდან გამოიყოფა, რადგან სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ამ მიზნით გამოყენებას კანონმდებლობა კრძალავს.

წარმოდგენილ დადგენილებასთან დაკავშირებით დადებითი აზრი გამოხატეს და ინიციატივა მოიწონეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ, ელქუჯა მექვაბიშვილმა, გიორგი ოთხმეზურმა, ირაკლი კუპრაძემ, ბეჟან თუთბერიძემ, კახაბერ ლორიამ და ქალბატონმა ლია მაჭავარიანმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა წევრებმა: შალვა საბაური, გიორგი გიორგაძე, ბექა ბექაური, ლაშა სამხარაძე, თათია სოსიაშვილი.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №57/2015 დადგენილება. (დანართი 6)

კენჭისყრის შემდეგ საპატიო მიზეზთა გამო სხდომა დატოვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ და ვლადიმერ მარგველაშვილმა.

5. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბატონმა მორის შალიკაშვილმა წარმოადგინა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №58/2015 დადგენილება. მისი განცხადებით, ცვლილებები ძირითადად ტექნიკურ ხასიათს ატარებს და დებულების საკანონმდებლო ცვლილებებთან

შესაბამისობაში მოყვანის მიზნითაა განპირობებული. ამასთან, ინსტიტუტს აღმასრულებელ დირექტორთან ერთად, ორი აკადემიური დირექტორიც ეყოლება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ირაკლი კუპრაძემ და აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან მარშავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №58/2015 დადგენილება. (დანართი 7)

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ჩატარებული რემონტების შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების (ჯართის) რეალიზაციის საკითხი. მისი განმარტებით, სხვადასხვა დროს ჩატარებული რემონტის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულეობები (ჯართი) კანონმდებლობის მიხედვითაა აღწერილი, ასევე, შესრულებულია კანონით დადგენილი ყველა პროცედურული მოთხოვნა. ამ ქონების რეალიზაციისათვის აუცილებელია თანხმობა, რომელსაც, უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, წარმომადგენლობითი საბჭო გასცემს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ და ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ჩატარებული რემონტების შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების (ჯართის) (დანართები: 8 და 9) რეალიზაციაზე.

7. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაპ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსის მოსამზადებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ. მისი განცხადებით, ჯგუფი შეთანხმდა გარკვეულ საკონკურსო მოთხოვნებზე, რომლებსაც ოფიციალურად გააცნობენ უნივერსიტეტის რექტორს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი ოთხმეზური დაინტერესდა უნივერსიტეტის პროფესორთა კატეგორიებითა და სხვადასხვა კატეგორიის პროფესორთა შორის ხელფასის დიფერენცირებით. მისი აზრით, „ა“ და „ბ“ კატეგორიის აკადემიურ პერსონალის ხელფასებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა და ამ მიმართულებით ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ასევე, კარგი იქნება, თუ „ა“ კატეგორიის პროფესორებს სხვა სამსახურის შეთავსების უფლებაც მიეცემათ. ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - მანანა ხაჩიძემ და თამარ პაიჭაძემ, ბატონმა ირაკლი კუპრაძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 26 ივნისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 26 ივნისი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით და უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შესაბამის სპეციალობაში და მათთვის სათანადო და კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და წინამდებარე დებულებას.
3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
4. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდება არის „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.“
5. ფაკულტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი და ბლანკი, რომელსაც იყენებს ოფიციალური კორესპოდენციის დროს.
6. ფაკულტეტს აქვს თსუ-ის ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილება: www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics .
7. ფაკულტეტის მისამართია: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. #2, უნივერსიტეტის მე-10 კორპუსი.
8. ფაკულტეტის დღეს აწესებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. დებულების მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესს.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანაა:

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების წარმართვა, სამეცნიერო კვლევებისთვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება, რომელიც შეესაბამება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით მოთხოვნებს;

გ) ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, რომელთა კომპეტენცია შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნებს;

დ) შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

ე) სასწავლო პროცესის მართვის მუდმივი გაუმჯობესება, სტუდენტის ცოდნის შეფასების სამართლიანი გარემოს შექმნა;

ვ) სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა;

ზ) თანამედროვე ეკონომიკური და ბიზნესის ლიტერატურის, მათ შორის პერიოდული სამეცნიერო გამოცემების და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;

თ) თანამშრომლობა საქართველოს და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით;

ი) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უფლებას დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა და სწავლება;

კ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია – ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და მის შემადგენლობაში შედის: ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები (კათედრები), სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

3. სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები (კათედრები) ორგანიზებას უწევენ და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევებს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

4. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET).

5. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას ინსტიტუტის, ცენტრის, ლაბორატორიისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომლებსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენენ ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ჩამონათვალი წარმოდგენილია წინამდებარე დებულების დანართში.

6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე იქმნება კოლეგიური ორგანო - საგამომცემლო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. საგამომცემლო საბჭოს უფლებამოსილებებს, ასევე მისი დაკომპლექტების წესს არეგულირებს თსუ-ს რექტორის ბრძანება. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო ქმნის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიებს, რომლებიც თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს.

7. ფაკულტეტზე დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და კრედიტების აღიარების საფაკულტეტი კომისია, ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო-ორგანიზაციულ საკითხებზე დახმარების გაწევის მიზნით შესაძლებელია შეიქმნას ტუტორატი.

8. ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს ფაკულტეტის საბჭო.

9. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

10. ფაკულტეტზე მოქმედებს საბავშვო უნივერსიტეტი „ნორჩი ეკონომისტი“

11. ფაკულტეტი გამოსცემს ჟურნალს „ეკონომიკა და ბიზნესი“.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის კოლეგიური, წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან) წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭო შედგება 39 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, 28 წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან და 10 წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიდან.

3. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ინიშნება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

5. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრთა ¼-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

6. აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან), ყოველ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში ორი წარმომადგენელი.

7. კანდიდატების დასახელება ხდება კათედრის სხდომაზე, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. კათედრის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი ვაკანტური ადგილიც არის გამოცხადებული. იმ შემთხვევაში თუ თანაბარი ხმების მიღების გამო ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. განმეორებით კენჭისყრაში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის ხელმძღვანელის ხმა. კათედრის წევრს არ აქვს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

8. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნები შესაძლებელია ჩატარდეს ფარული კენჭისყრის გზით კათედრის წევრთა გადაწყვეტილებით. ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კათედრა ამტკიცებს არჩევნების ჩატარების პროცედურას.

9. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები (კათედრები), ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ამონაწერს სხდომის

ოქმიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით ადასტურებს ფაკულტეტის საბჭოს ახალ წევრთა უფლებამოსილებას.

10. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს წევრის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლა;

გ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის აკადემიური თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება;

დ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

11. ფაკულტეტის საბჭოს წევრისთვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში წინამდებარე დებულებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ტარდება არჩევნები ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის გამოსავლენად.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომელიც ასევე მოიცავს სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) წარდგინებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;

თ) წყვეტს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს, მის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს ეთიკის კოდექსისა და

სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევაში;

ი) თსუ-ს რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ;

კ) სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

ლ) წარუდგენს აკადემიურ საბჭოს მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში;

მ) უფლებამოსია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ნ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ო) იღებს გადაწყვეტილებას ცენტრების, ლაბორატორიებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნის შესახებ და ამტკიცებს მათ დებულებას.

პ) უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისიები;

ჟ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ჩატარების წესი და საქმიანობის ორგანიზაციული

უზრუნველყოფა

1. ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს თავისი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.

2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს და სხდომებს წარმართავს ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ფაკულტეტის საბჭოს წევრის

სტატუსით. მისი არყოფნის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

3. იმ შემთხვევაში თუ, დეკანი, როგორც აკადემიური პერსონალი არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს წევრად, მისი როგორც აკადემიური პერსონალიდან არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება.

4. იმ შემთხვევაში თუ, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, როგორც ამავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს წევრად, მისი როგორც აკადემიური პერსონალიდან არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება დეკანის მოვალეობის შესრულების ვადით.

5. თუ კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფაკულტეტის საბჭოს სხდომა და კენჭისყრა არის ღია. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია ფარული კენჭისყრის ჩატარება.

6. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

7. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით ამზადებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც წინასწარ არაუგვიანეს 2 კალენდარული დღით ადრე გადასცემს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ასევე უზრუნველყოფს საჯარო გაცნობისათვის ფაკულტეტის შენობაში დღის წესრიგის განთავსებას თვალსაჩინო ადგილას.

8. ფაკულტეტის საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც უნდა აცნობონ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს სხდომის ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე.

9. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს ღია კენჭისყრით.

10. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის გახსნის წინ ხდება წევრთა რეგისტრაცია ფაკულტეტის საბჭოს მდივანთან. რეგისტრაციის მონაცემები თან ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს.

11. თუ კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ფაკულტეტის

საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

12. ფაკულტეტის საბჭოს ყველა სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და ფაკულტეტის საბჭოს მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

13. ოქმი უნდა შეიცავდეს, ინფორმაციას:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომაზე გამოცხადებულ ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ვინაობა და ტექსტის მოკლე შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი და არჩევის წესი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. დეკანად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს 4 წლის ვადით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში პირველი და მეორე საუკეთესო შედეგის მქონე პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს ადგენს თსუ-ის აკადემიური საბჭო.

4. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;

ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;

თ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ნუსხის პროექტს;

ი) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

კ) კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, კანცელარიასა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. დეკანი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად ინდივიდუალური საკითხების გადასაწყვეტად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს ბრძანებებს, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი;

3. ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება), ასევე შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში.

5. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს.

მუხლი 10. დეკანის მოადგილეები

1. დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში.
2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.
3. დეკანის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო სფეროში დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
5. დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში კოორდინირებას უწევს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახურს.

თავი V
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, აკადემიური პერსონალის პროფესიული ხარისხის განვითარების სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს სემესტრში ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის ფაკულტეტის მართვის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრის გზით, 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

3. ფაკულტეტის საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. გამარჯვებულად გამოცხადდება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული დაინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

4. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ფარული კენჭისყრის გზით. ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ამზადებს და ამტკიცებს არჩევნების ჩატარების პროცედურას.

5. სამსახურის უფროსის დროებით არ ყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება და ა.შ.) მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ სამსახურის შემადგენლობიდან განსაზღვრული ერთ-ერთი თანამშრომელი.

6. სამსახურის უფროსი:

ა) პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის;

გ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადებასა და წარდგენას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

დ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი VI
სადისერტაციო საბჭო

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე;

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. მათ გარდა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეული იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

3. სადისერტაციო საბჭოს შედგენის, საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი და საქმიანობა განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი VII
სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 14. კათედრა

1. კათედრა წარმოადგენს პროგრამის ან მომიჯნავე, მონათესავე ერთმანეთთან მჭიდრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში მყოფი პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო რესურსების ერთობლიობას.

2. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები):

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა;

ბ) ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა;

გ) ეკონომეტრიკის კათედრა;

დ) ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;

ე) ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;

ვ) თეორიული ეკონომიკის კათედრა;

ზ) მაკროეკონომიკის კათედრა;

თ) მარკეტინგის კათედრა;

ი) მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა;

კ) მიკროეკონომიკის კათედრა;

ლ) საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;

მ) საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა;

ნ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;

ო) ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა.

3. კათედრის შექმნისა და გაუქმების შესახებ არგუმენტირებული ინიციატივა შეიძლება გამოთქვას ფაკულტეტის დეკანმა/ფაკულტეტის საბჭოს 1/3-მა. კათედრის შექმნისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

4. კათედრა შედგება სულ მცირე 4 წევრისგან.

5. კათედრის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კათედრის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. კათედრაზე კენჭისყრა არის ღია, კათედრის წევრთა გადაწყვეტილებით დასაშვებია გადაწყვეტილების მისაღებად ფარული კენჭისყრის ჩატარება. კათედრის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, თუ წინამდებარე დებულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კათედრის წევრს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

6. კათედრას ხელმღვანელობს პროფესორი, რომელიც აირჩევა კათედრის პირველ სხდომაზე. კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ფუნქციონირებას და საქმიანობის წარმართვას ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

7. იმ შემთხვევაში თუ კათედრის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ერთი პროფესორი, ის ავტომატურად ხდება კათედრის ხელმძღვანელი, თუ ორი ან ორზე მეტი პროფესორია კათედრაზე ტარდება კენჭისყრა. კანდიდატებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებით კენჭისყრაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული ხმების თანაბრად გაყოფის გამო, გადაწყვეტილებას განმეორებით კენჭისყრაში მონაწილე პირთაგან კათედრის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ იღებს ფაკულტეტის დეკანი და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

8. ასოცირებული პროფესორი კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს კათედრაზე პროფესორის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამის კათედრაზე პროფესორის არჩევამდე, არაუმეტეს 12 თვის ვადით.

9. კათედრის სხდომებს თავმჯდომარეობს კათედრის ხელმძღვანელი. მისი არყოფნის შემთხვევაში კათედრის სხდომის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს კათედრის მიერ ღია კენჭისყრით კათედრის შემადგენლობიდან არჩეული პროფესორი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში ასოცირებული პროფესორი.

10. კათედრის თითოეული სხდომის შესახებ ოქმს აწარმოებს სხდომის მდივანი, რომელიც აირჩევა კათედრის შემადგენლობიდან. დასაშვებია სხდომის მდივნად აირჩეს პროფესორის ასისტენტიც.

მუხლი 15. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამასა და კვლევებს ეკონომიკის მიმართულებით.

2. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

3. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომელსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ.

4. ISET-ის პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება საერთაშორისო პროფესორების კომიტეტის მიერ (IFC), რომელსაც ნიშნავს „პარტნიორობა ეკონომიკური განათლებისა და კვლევისათვის“-ის, PEER-ის მმართველთა საბჭო. შემუშავებული პროგრამა განიხილება თსუ-ში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, რომელსაც საბოლოოდ ფაკულტეტის საბჭო წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა იმართება დირექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს PEER-ის მმართველთა საბჭო. თსუ-ს რექტორი PEER-ის მმართველთა საბჭოს სრულუფლებიანი წევრია, ხმის მიცემის უფლებით.

6. ფაკულტეტის საბჭო თავის მხრივ ირჩევს წარმომადგენელს საერთაშორისო პროფესორების კომიტეტში (IFC).

7. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური გადახდილი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ;

ბ) გრანტის, შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ე) ხელშეკრულების საფუძველ

ზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ვ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი.

8. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მისამართია: ზანდუკელის ქუჩა №16, 0108 თბილისი.

თავი VIII
ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 16. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) კანცელარია;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

გ) მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;

დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ე) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 17. ფაკულტეტის კანცელარია

1. ფაკულტეტის კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტის კანცელარიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ბ)კორესპოდენციის მიღება, რეგისტრირება და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა დეკანის (დეკანის მოადგილის) ვიზირების შემდეგ;

გ) შემსრულებლისათვის შემოსული წერილების დროული მიწოდება და შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;

დ)ფაკულტეტზე არსებული საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, თსუ-ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისი მოთხოვნისთანავე;

ე) ინფორმაციის გაცემა განყოფილებაში შემოსულ დოკუმენტების შესრულებისა და გასული კორესპოდენციის დაგზავნის მდგომარეობაზე;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულების კონტროლი;

ზ) ფაკულტეტის საარქივო საქმისწარმოება (დოკუმენტების აღწერა, დამუშავება, დაცვა და სათანადო ვადის გასვლის შემდეგ თსუ-ს არქივისთვის გადაცემა);

3. ფაკულტეტის კანცელარიაში ინახება ფაკულტეტის ბეჭედი, შტამპი და ბლანკი, რომლებიც გამოიყენება დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 18. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური:

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შედის სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მომსახურების ჯგუფი, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახური კურირებს ტუტორატს.
3. სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სასწავლო პროგრამების და სტუდენტთა კონტიგენტის შესაბამისად დატვირთვების მომზადება;

ბ) სასწავლო დატვირთვების კათედრებისთვის გადაცემა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო ცხრილების საბოლოო ფორმირება;

გ) აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების დატვირთვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა პერსონალის მართვის დეპარტამენტისთვის;

დ) სასწავლო დატვირთვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისთვის;

ე) შუალედური, ძირითადი და დამატებითი გამოცდების დანიშვნის ორგანიზება საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით;

ვ) სასწავლო ცხრილების შესახებ უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

ზ) შიდა და გარე მობილობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;

თ) სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ წარდგინების მომზადება და გადაცემა უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის.

ი) კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება;

კ) შემოსულ კორესპოდენციის განხილვა/რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების ბრძანებების პროექტების მომზადება.

4. სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის ძირითადი ფუნქციები:

ა) სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;

ბ) შემოსული კორესპოდენციის განხილვა/რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) დამატებით სემესტრში სტუდენტთა დასარეგისტრირებლად წარდგინების მომზადება და უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

დ) ხარისხის მინიჭების შესახებ წარდგინებისა და დიპლომების დანართების მომზადება;

ე) ბაკალავრიატის/მაგისტრატურის პირველკურსელთა აკადემიური რეგისტრაციისა და ხელშეკრულებების გაფორმების უზრუნველყოფა;

ვ) ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ცნობების მომზადებისა და გაცემის ორგანიზება;

ზ) იმ ძირითადი და დამატებითი მაგისტრატურის/დოქტორანტურის გამოცდების შეტანა ბაზაში, რომლებიც ფაკულტეტზე ტარდება;

თ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება/დაარქივება.

მუხლი 19. ტუტორატი

1. ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო-ორგანიზაციულ საკითხებზე დახმარების გაწევის მიზნით სასწავლო სემესტრის დასაწყისში იქმნება ტუტორთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩაბმას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

2. ტუტორები შეირჩევიან ფაკულტეტის დეკანის მიერ ფაკულტეტის მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებს ან ფაკულტეტის თანამშრომლებს შორის.

მუხლი 20. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;

დ) ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისათვის, შესაბამის კათედრასთან ერთად, აუცილებელი უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ასევე მოძიებული ლიტერატურის თარგმნისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების შერჩევა, თარგმნის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია;

ე) დოქტორანტთა სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება, კოლოქვიუმებისა და სემინარების ორგანიზება;

ვ) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

ზ) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება;

თ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება.

მუხლი 21. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

1. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. მატერიალური რესურსების სამსახურის ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტური მართვა;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;

გ) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა;

დ) ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;

ე) ფაკულტეტის ოპერატიულ მართვაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა;

ვ) სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

მუხლი 22. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანები:

ა) ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, ფაკულტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია;

ბ) ფაკულტეტზე სხვადასხვა შეხვედრებისა და საჯარო გამოსვლების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის სისტემური განთავსება/განახლება.

დ) სახელისუფლებო სტრუქტურებთან და კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინირება, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის, სტაჟირების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

ე) სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

ვ) ფაკულტეტზე არსებული სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, საერთაშორისო კავშირების და სხვა მსგავსი საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების,

ბროშურების, პლაკატების, „ფლაიერების“, „ბანერების“ დამზადების ორგანიზება და გავრცელება;

ზ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების საძიებო სისტემის ფორმირება და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან ერთად;

თ) სამეცნიერო კვლევების შედეგების პრეზენტაციისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე საქმიანი კონტრაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან და ბიზნეს-სექტორთან;

ი) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება.

თავი IX
საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2. ფაკულტეტზე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

3. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელები. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი.

4. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს ფაკულტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

5. პროგრამის ხელმძღვანელები მათი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრის გზით ირჩევენ პროგრამის კოორდინატორს, გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

6. პროგრამის კოორდინატორი აირჩევა როტაციის წესით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით. თითოეული პროგრამის ხელმძღვანელი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

7. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

მუხლი 24. პროგრამის განხილვა

1. შემუშავებული პროგრამა განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის სხდომაზე. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა რეგულირდება თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით.

2. სხდომა მოიწვევა პროგრამის კოორდინატორის ან ხელმძღვანელთა 1/3 მოთხოვნით.

3. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება შესაბამისი მიმართულების პროგრამის ხელმძღვანელების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით და გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

4. სხდომას ხელმძღვანელობს პროგრამის კოორდინატორი. სხდომის შემადგენლობიდან არჩეული მდივანი განხილული საკითხების შესახებ ადგენს ოქმს.

5. ფაკულტეტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად გადასცეს უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის სხვა სასწავლო ერთეულს.

თავი X
საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს თსუ-ს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სტუდენტის სემესტრული რეგისტრაცია რეგლამენტირებულია უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მოიცავს ორ ეტაპს: ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ-ში დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

6. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს ანიჭებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო.

7. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომელსაც თან ერთვის სტანდარტული დანართი.

მუხლი 26. მაგისტრატურაში მიღების წესი

1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ საგამოცდო ცენტრი.

5. საბუთების მიღების ვადები და საკონკურსო საბუთების ჩამონათვალი ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.

7. საბუთების მიღებას ახორციელებს საბუთების მიმღები კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი ამტკიცებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. მაგისტრანტობის კანდიდატს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

9. საბუთების მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან;

გ) წარმოდგენილი საბუთების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან და სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში შეადგინოს დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს. მაგისტრანტობის კანდიდატს შეუსაბამობის შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს კომისიის მიერ.

მუხლი 27. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები

1. მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს, რომელიც პროგრამიდან გამომდინარე შეიძლება ითვალისწინებდეს გამოცდას სპეციალობის საგანში ან/და უცხო ენებში. გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრის მიერ ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.

2. საკონკურსო გამოცდებზე უცხო ენაში და/ან სპეციალობაში დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სპეციალობის და/ან უცხო ენის გამოცდას.

3. სამაგისტრო პროგრამით განისაზღვრება უცხო ენა და საჭირო დონე. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულით და ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის

კანდიდატი მიიღებს 51 ქულას. უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლდებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, გადაწყვეტილებას უცხო ენის გამოცდისგან გათავისუფლების შესახებ იღებს თსუ უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი.

4. ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე სპეციალობის მისაღები გამოცდის და საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება თსუ რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მაგისტრანტობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარებას.

6. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ბაკალავრიატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

7. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები თსუ-ს მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი ჩარიცხული პირების შესახებ.

მუხლი 28. დოქტორანტურაში მიღების წესი

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" დადგენილებით, ასევე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, სადოქტორო პროგრამებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სადოქტორო პროგრამაზე/პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

6. საბუთების მიღების ვადები და საკონკურსო საბუთების ჩამონათვალი ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია თსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საბუთები წარუდგენოს ფაკულტეტის საბუთების მიმღებ კომისიას, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. დოქტორანტობის კანდიდატს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

9. საბუთების მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში;

ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან;

გ) წარმოდგენილი საბუთების სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან და სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში დაწეროს დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს. დოქტორანტობის კანდიდატს შეუსაბამობის შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს კომისიის მიერ.

10. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან აბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

11. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გამოცდისაგან გათავისუფლებულნი არიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნას, ასევე ის კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე. გადაწყვეტილებას უცხო ენის გამოცდისგან გათავისუფლების შესახებ იღებს თსუ უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი.

12. გამოცდა უცხო ენაში ტარდება წერილობითი ფორმით, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრის მიერ ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.

13. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. გასაუბრება პროგრამიდან გამომდინარე შეიძლება ითვალისწინებდეს კვლევითი პროექტის პრეზენტაციას.

15. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დოქტორანტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

თავი XI
პერსონალის შემადგენლობა

მუხლი 29. ფაკულტეტის პერსონალი

ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 30. აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ის წესდებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 31. ადმინისტრაციული თანამდებობები

1. ფაკულტეტზე არსებული ადმინისტრაციული თანამდებობებია: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, თსუ-ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა ან/და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 32. მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები

1. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

2. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი პირები (უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, პროფესორის ასისტენტი) ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული (შტატგარეშე) პირები .

4. ფაკულტეტი უფლებამოსილია ამ დებულებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

თავი XII
სტუდენტი

მუხლი 33. სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, დისციპლინური წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებითა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 34. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.

2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და დაკომპლექტების წესი, ასევე უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებითა და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

თავი XIII
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 35. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. ფაკულტეტი ბიუჯეტის შემუშავებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 36. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის განკარგულებაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ფაკულტეტის წარდგინებით წყვეტს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი XIV
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მუხლი 37. დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი XV
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 38. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დებულების დამტკიცებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2013 წლის 18 მარტის N2 სხდომის ოქმით დამტკიცებული ფაკულტეტის დებულება.

2. ფაკულტეტის დებულება ამოქმედდეს თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დანართი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები:

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები:

1. ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
2. ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
3. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
4. ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;
5. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
6. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
7. მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
8. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
9. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

დადგენილება №55/2015
19 ივნისი, 2015

“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის №19057/02, 11.06.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
2. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება (დანართი №1).“
3. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1).

4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ,,ცენტრი") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება, საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის დანიშნულებაა საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების საშუალების მიცემა პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მისაღებად საფუძვლების შექმნისათვის, უმაღლესი განათლების უპირატესობების და შესაძლებლობების და სამომავლო მიზნების იდენტიფიცირებისა და მიღწევისათვის.
2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების (რომელიც გათვლილია ორ ძირითად სამიზნე აუდიტორიაზე: შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოება/უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები/და ფართო საზოგადოება/შეუზღუდავად ასაკისა) პროგრამების შექმნა და ადმინისტრირება.
3. ცენტრის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესაძლებლობების განვითარება;

ბ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პრიორიტეტების განსაზღვრა, საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და მათი განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის პოპულარიზაცია, მისი როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენების მომსახურების, მათთვის უწყვეტი განათლების პროგრამების (ტრენინგები, კურსები, სემინარები, საჯარო ლექციები და სხვ.) შეთავაზების საშუალებით;

დ) უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და შეთავაზება დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციებისათვის;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული და აკადემიური განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება;

ვ) სტუდენტებისათვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება უწყვეტი განათლების მიმართულებით;

ზ) ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება;

თ) ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში;

ი) აბიტურიენტებისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესაძენად შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზება;

კ) სკოლის მოსწავლეებში სწავლისადმი, მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა სხვადასხვა შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით;

ლ) მოსწავლეებისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება.

4. ცენტრი ახორციელებს:

ა) ცენტრის ინიციატივით, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;

ბ) უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირებას;

გ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;

დ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვების წარმოებასა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზებას;

ვ) საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;

ზ) კონტაქტების დამყარებას უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, ასოციაციებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

თ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას;

ი) შრომის ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნების საჭიროებების რეგულარულ კვლევას შესაბამისი პროგრამების შექმნის მიზნით;

კ) საუნივერსიტეტო სივრცეში და მის გარეთ საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების ძიებას და მონაცემთა ბაზების შექმნას;

ლ) ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგებისათვის;

მ) უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებების კვლევას და მათთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებას;
ნ) აბიტურიენტებისათვის აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების პროგრამებში ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მისაღებად მოსამზადებელი კურსების შეთავაზებას;
ო) სკოლების მოსწავლეებისათვის სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიების დაგეგმვას და განხორციელებას („ნორჩთა სკოლები", ლექციები, კონფერენციები, ვიქტორინები, ზამთრის და ზაფხულის სკოლები და სხვ.).

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს: ცენტრის უფროსს, ცენტრის უფროსის მოადგილეს, განყოფილებებს.
2. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსის მიერ თავის უფლება-მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე.
3. ცენტრის უფროსის მოადგილეს, განყოფილების უფროსსა და ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.
4. ცენტრის სტრუქტურაში შედის ორი განყოფილება - აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება და საბავშვო უნივერსიტეტი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ განყოფილების უფროსები.
5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობებია – ცენტრის უფროსი, ცენტრის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ცენტრის უფროსი სპეციალისტი.
6. ცენტრის უფროსი:
ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;
ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) იხილავს და ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ე) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციებს და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;
ვ) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ზ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
თ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
ი) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
კ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.
7. ცენტრის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს ცენტრის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) მონაწილეობს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში;
გ) ცენტრის უფროსის დროებით არყოფნის, ასევე ცენტრის უფროსის დავალებით ახორციელებს ცენტრში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
დ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, ცენტრის უფროსის უშუალო დავალებებს.
8. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, ცენტრის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ცენტრის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
დ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.
9. აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება:
ა) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
ბ) ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის/საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის დადგენილი სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების სრულყოფას;
გ) უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;
დ) ახდენს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიღებას, რეგისტრაციას, ჯგუფებში განაწილებას ხელშეკრულებით დადგენილი წესების თანახმად;
ე) ახორციელებს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების აკადემიური მოსწრების პერიოდულ შემოწმებას;
ვ) ახდენს პედაგოგების დატვირთვებისა და აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების

მეცადინეობების ცხრილის შედგენას;

ზ) ახორციელებს მეცადინეობებზე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების დასწრების მონიტორინგს;

თ) უზრუნველყოფს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას.

10. საბავშვო უნივერსიტეტი:

ა) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი ღონისძიებებისა და სასწავლო პროცესის განხორციელებას;

ბ) გეგმავს და ახორციელებს სემინარებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში სკოლის მოსწავლეებისათვის;

გ) ორგანიზებას უწევს ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებას;

დ) ორგანიზებას უწევს და ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ გაცნობითი ლექციების ჩატარებას მოსწავლეებისათვის;

ე) ორგანიზებას უწევს შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიქტორინების, კონფერენციების და კონკურსების ჩატარებას;

ვ) გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეებისთვის საბავშვო უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ექსპედიციებს;

ზ) ორგანიზებას უწევს მოსწავლეებისთვის ზაფხულის და ზამთრის შემეცნებით-საგანმანათლებლო სკოლების ჩატარებას;

თ) ახორციელებს სკოლის მოსწავლეების საბავშვო უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მოზიდვისათვის საჭირო საინფორმაციო კამპანიას;

ი) ატარებს ღია კარის დღეებს, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში;

კ) ორგანიზებას უწევს მოხალისე სტუდენტების მიერ მშობლიურ სკოლებში უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი შეხვედრების ჩატარებას (მაგ. პროექტები ,,გაიცანი შენი პროფესია“ და ,,თსუ დესპანი“);

ლ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეებში და სხვადასხვა ღონისძიებებში;

მ) კოორდინირებას უწევს საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს ფაკულტეტებზე, ფაკულტეტების მიერ მოსწავლეებისათვის დაგეგმილი ლექციების, კონფერენციების ვიქტორინების და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) მსმენელთა მომსახურებით მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №56/2015
19 ივნისი, 2015

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტისა და მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის №18578/02, 8.06.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1933 წლის 1 ნოემბერს, ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალისა და საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის 1933 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუტი, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ისტორიაში. ინსტიტუტის დაარსებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1844 წელს, როდესაც თბილისში დაარსდა კავკასიაში პირველი და რუსეთში ერთ-ერთი პირველთაგანი, მაგნეტო-მეტეოროლოგიური ობსერვატორია (1956 წელს გადატანილ იქნა დუშეთში), რომელმაც ფუნდამენტური როლი შეასრულა გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში.

1941 წელს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანების საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, გეოფიზიკური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი, ხოლო 1950 წლის 1 დეკემბრიდან ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი გაიყო ორ - ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტებად.

1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს მიეკუთვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ნოდიას სახელი.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N58 დადგენილებით მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტს ეწოდა სსიპ - მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილების შესაბამისად მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, საქართველოს ტერიტორიაზე გეოფიზიკური ველების (სეისმური, გრავიტაციული, გეომაგნიტური,

გეოდინამიკური, გეოთერმული) კარტირება, მონიტორინგი და მოდელირება, დედამიწის გარსებში, ზღვასა და ატმოსფეროში მიმდინარე რთული პროცესების სივრცულ-დროითი დინამიკისა და ურთიერთკავშირირების დადგენა და პროგნოზირება მინერალური რესურსების გამოსავლენად და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად; გეომაგნიტური და კოსმოფიზიკური ობსერვატიული დაკვირვებები და მიღებული უწყვეტი მასალების მონაცემთა საერთაშორისო ბაზებში განთავსება; საინჟინრო, საძიებო და ეკოლოგიური გეოფიზიკა, ბუნებრივი საშიშროებები და რისკი, არქეოგეოფიზიკა, ჰიდროგეოფიზიკა, დიდი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგი; გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით.

2. ინსტიტუტი შესაბამისი ფაკულტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყოს:

ა) სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებას;

ბ) სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო გრანტებში და მათ მონაწილეობას, როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

3. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორი;

ბ) გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორი;

გ) დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორი;

დ) სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორი;

ე) ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი;

ვ) ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი;

ზ) კოსმოსური კვლევის ცენტრი;

თ) ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრი;

ი) კოსმოფიზიკური ობსერვატორია;

კ) დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია.

2. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება თავისი შემადგენლობიდან.

3. ინტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება 11 წევრისაგან.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 4 წლის ვადით და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. ერთი და იმავე პირის მიერ დირექტორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, განსაზღვროს ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების წესი ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესი. ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მიღების ან ინსტიტუტის პერსონალის ატესტაციის წესის გამოყენების ვალდებულება განისაზღვრება ამავე წესის საფუძველზე.

7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშაოს ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი და დასამტკიცებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეების (დირექცია), სამეცნიერო პერსონალისა (თანამდებობის) და სხვა პერსონალისაგან (სპეციალისტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).

2. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი.

3. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამეცნიერო თანამდებობა.

4. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე

ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. გარდა მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მის მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა ან ზედიზედ 3 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ (იმფაქტ ფაქტორის მქონე) ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის გამოუქვეყნებლობა.

მუხლი 6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებანი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:

ა) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი უფლებამოსილების ვადით, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

თ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 8. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) წინამდებარე დებულების შესაბამისად, პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან გასათავისუფლებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს.

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, ქმნის საარჩევნო კომისიას და ამტკიცებს მისი საქმიანობის წესს;

მ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

3. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) მის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 9. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი.

2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

გ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 10. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 11. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) ინსტიტუტის მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა;

გ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს 2015 წლის 1 სექტემბრამდე, რექტორის ბრძანებით დამტკიცების მიზნით, წარმოადგინოს სამეცნიერო საბჭოს არჩევის დროებითი წესი.

2. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების წესი უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, მისი უფლებამოსილების

ცნობიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან.

დადგენილება №57/2015
19 ივნისი, 2015

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" რექტორის 2015 წლის 3 აპრილის №53/01-01 ბრძანებით შექმნილი ჯგუფის 8.06.2015, №04/01-01-04-07 წარდგინების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები

მუხლი 1. წესის მიზანი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,თსუ" ან ,,უნივერსიტეტი") წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უნივერსიტეტში ეკავათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა, ანაზღაურების გაცემის წესისა და პირობების (ტექსტში შემდგომ - ,,წესი") მიზანია დაადგინოს იმ პირთა (ყოფილ თანამშრომელთა) განსაზღვრის საფუძვლები და პროცედურა, რომლებსაც მიეცემათ ანაზღაურება უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მუხლი 2. უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირი და ასეთი პირისათვის ანაზღაურების მიცემის საფუძვლები

1. უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირად წინამდებარე წესის შესაბამისად ჩაითვლება თსუ-ს ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც უნივერსიტეტში ეკავა აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა (ტექსტში შემდგომ - ,,ყოფილი თანამშრომელი"). ამ წესის მიზნებისათვის აკადემიური თანამდებობის ცნების განსაზღვრა, გარდა არსებული ნორმებისა, განხორციელდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ეკვივალენტობის პრინციპის გამოყენებით).
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ბიუჯეტიდან (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, გარდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სახით მიღებული თანხებისა) ყოველწლიურად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე, გამოყოს შესაბამისი ზღვრული ოდენობის თანხა, რომელიც მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში გამოყენებული იქნება ყოფილი თანამშრომლების ანაზღაურების გასაცემად.

მუხლი 3. ყოფილი თანამშრომლისათვის განსაკუთრებული დამსახურების მქონის სტატუსის მიღების საფუძვლები

1. ყოფილი თანამშრომლისათვის განსაკუთრებული დამსახურების მქონის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელია პირი აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა იყოს არანაკლებ 65 წლის ან განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს უნდა უსრულდებოდეს 65 წელი;

ბ) უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 25-წლიანი საერთო სტაჟი (მათ შორის, აკადემიურ და/ან სამეცნიერო თანამდებობაზე);

გ) უნდა იყოს დაუსაქმებელი (მათ შორის, არ უნდა ჰქონდეს საგრანტო ანაზღაურებადი ხელშეკრულება) (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის/პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობისა), შემოსავლის არმქონე (გარდა პენსიისა);

დ) უნდა იყოს სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი შედარებით დიდი ოდენობის პენსიის არმქონე (მაგალითად, მოსამართლის, პარლამენტარის და სხვ.);

ე) არ უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა ან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპონდენტი.

2. ანაზღაურება უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირზე გაიცემა მხოლოდ მის სიცოცხლეში.
3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება უნივერსიტეტის ყოფილ თანამშრომელს აძლევს საშუალებას წარადგინოს განცხადება და ამ განცხადების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ განხილულ იქნეს კონკრეტული კალენდარული წლის განმავლობაში მასზე ანაზღაურების გამოყოფის საკითხი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის დაფინანსების გამოყოფისა და განაწილების პროცედურა

1. უნივერსიტეტის მიერ განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილი თანამშრომლებისათვის მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში გასაცემი დაფინანსების გამოყოფა და განაწილება ხდება ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში, წინამდებარე წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილ პირთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ (რომლის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 10 წევრის ოდენობით) განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შედეგად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყოველი კალენდარული წლის დაფინანსების ზღვრული ოდენობა დგინდება თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით და ყოფილ თანამშრომლებზე ყოველ კონკრეტულ კალენდარულ წელს გასაცემი თანხის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ამ ოდენობას. თითოეულ ყოფილ თანამშრომელზე განაწილებული თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ემერიტუსის ყველაზე დაბალ ანაზღაურებაზე მეტი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). ერთ პირზე გასაცემი თანხის მინიმუმი დგინდება კომისიის მიერ.

3. ანაზღაურების მიცემაზე ყოველი კონკრეტული პირის კანდიდატურის განსახილველად აუცილებელია ამ პირმა უნივერსიტეტის კანცელარიაში მუდმივმოქმედი კომისიის სახელზე წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) პირადად ხელმოწერილი განცხადება (განცხადება ასევე შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტით აღჭურვილი - მინდობილობის/რწმუნებულების მქონე - პირის მიერ);

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის შესაბამისი გვერდების ასლები (რითიც დგინდება პირის ვინაობა);

გ) ზოგადი შრომის სტაჟის, მათ შორის, უნივერსიტეტში მუშაობის (მათ შორის, სხვადასხვა თანამდებობაზე სხვადასხვა პერიოდსა თუ ვადებში, ასევე უნივერსიტეტში ერთსა და იმავე პერიოდში შეთავსებით მუშაობის) დამადასტურებელი ოფიციალური წესით გაცემული დოკუმენტის ასლი (შრომის წიგნაკი და სხვ.);

დ) წერილობითი ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მის სახელზე არსებული შემოსავლის სახეობის მითითებით (ოდენობის მითითების გარეშე). ხსენებული წერილობითი ინფორმაციის გაცემიდან მის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე გასული არ უნდა იყოს 2 კვირაზე მეტი ვადა;

ე) ხელწერილი, რომ ანაზღაურების მიღების შემთხვევაში უარს განაცხადებს მის მიერ სხვა წყაროდან მისაღებ შემოსავალზე, ხოლო ასეთი შემოსავლების მიღების შემთხვევაში დაუბრუნებს უნივერსიტეტს უნივერსიტეტის მიერ მასზე ზედმეტად გაცემულ თანხას.

4. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიიღება ყოველ კალენდარულ წელს პირველი ნოემბრიდან პირველი დეკემბრის ჩათვლით და გადაეცემა შესაბამის მუდმივმოქმედ კომისიას განსახილველად. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში, პირს მიეცემა 5 სამუშაო დღე ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება არ განიხილება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოდგენილ იქნა პირველ დეკემბრამდე).
5. მუდმივმოქმედი კომისია ვალდებულია წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დაცვით, დოკუმენტაციის მიღებიდან სამი კვირის ვადაში წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე იმ პირთა ჩამონათვალი (გასაცემი თანხის ოდენობის მითითებით), რომლებზეც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ანაზღაურება.
6. მუდმივმოქმედი კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი დოკუმენტაცია და, უპირველეს ყოვლისა, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულე და სისწორე. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
7. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განცხადებებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, გასაცემი

თანხის ოდენობა აღემატება მომდევნო კალენდარული წლისათვის გამოყოფილი ზღვრული ჯამური თანხის ოდენობას, კომისია ვალდებულია (კალენდარული წლისათვის გამოყოფილი ზღვრული ჯამური თანხის ოდენობის გადამეტების თავიდან ასაცილებლად) ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი პრიორიტეტების იერარქიულობის დაცვით მოახდინოს დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების რანჟირება და დასაფინანსებელ პირთა რანჟირებული სიის შექმნა (შესაბამისი ანაზღაურების მხოლოდ ამ სიაში შეყვანილ პირთათვის გაცემის მიზნით).

8. ყოველი მომდევნო პრიორიტეტი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა პრიორიტეტის მიხედვით შედგენილი სია კვლავ ვერ პასუხობს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს.

9. სიის რანჟირებისათვის გამოიყენება პრიორიტეტები შემდეგი იერარქიით:

ა) უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა შემდეგი პრიორიტეტული იერარქიით:

ა.ა) პროფესორი/სრული პროფესორი/კათედრის გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

ა.ბ) დოცენტი, ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/მეცნიერ-თანამშრომელი;

ა.გ) უფროსი მასწავლებელი/მასწავლებელი/ასისტენტი/ასისტენტ-პროფესორი/უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ბ) უნივერსიტეტში აკადემიურ ან სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობის სტაჟის მეტი ოდენობა;

გ) საუნივერსიტეტო ჯილდოს (ჯილდოების), პრემიის (პრემიების) არსებობა და მათი ოდენობა.

10. მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს ყველა აუცილებელი პროცედურა, რომლებიც დადგენილი არ არის წინამდებარე წესით.

მუხლი 5. ანაზღაურების შეწყვეტის საფუძვლები

1. ანაზღაურების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ანაზღაურების მიმღების პირადი განცხადება;

ბ) ანაზღაურების მიმღების გარდაცვალება;

გ) წინამდებარე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმებისადმი შეუსაბამობის ფაქტის დადგომა ან გამოვლენა ან/და ანაზღაურების გაცემის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტების დარღვევით ანაზღაურების დანიშვნის ფაქტის გამოვლენა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №58/2015
19 ივნისი, 2015

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის №19926/02, 19.06.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში:
ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ”;
ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეიქმნას სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეული - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი“.“
გ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).“
2. შევიდეს ცვლილებები „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2015 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო – კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება“;

ბ) ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო – კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულების პრეამბულის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი ფუძნდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ), როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.“

გ) დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ინსტიტუტის ოფიციალური სახელწოდებაა: სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული – “ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი”.

დ) დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობა ირჩევს აღმასრულებელ და აკადემიურ დირექტორებს სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. გამგეობის მიერ არჩეულ დირექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს თსუ-ს რექტორი.“

ე) დანართი №1-ის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ირჩევს აღმასრულებელ და აკადემიურ დირექტორებს (დირექტორები შეიძლება დასახელდეს ასევე იმ პირთაგან, რომლებიც არ არიან გამგეობის წევრები);“

ვ) დანართი №1-ის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი. საჭიროების შემთხვევაში სხდომების ჩატარებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორებიცაა ტელეფონი ან ინტერნეტსაშუალებები, ამ შემთხვევაში, ითვლება, რომ წევრი ესწრება სხდომას. ასეთ დროს ადგილზე არმყოფი პირი კენჭისყრაში მონაწილეობს ტელეფონის ან საკომუნიკაციო ინტერნეტსაშუალებების მეშვეობით. სხდომის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა აისახოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე.“

ზ) დანართი №1-ის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტს ჰყავს ერთი აღმასრულებელი და ორი აკადემიური დირექტორი. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობაზე, ხოლო აკადემიური დირექტორები პასუხისმგებელნი არიან და კოორდინირებას უწევენ ინსტიტუტის აკადემიურ საქმიანობას, როგორც კვლევებისა და განვითარებისათვის დასახულ ამოცანებს, ასევე ინსტიტუტის ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებებს.“

თ) დანართი №1-ის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) კოორდინირება გაუწიოს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე განხორციელებულ (LL. M. zu Köln და საჯარო მმართველობა) უცხოენოვან სამაგისტრო პროგრამებს.“

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში ჩატარებული რემონტის შედეგად მიღებული ცენტრალური გათბობის გამათბობელის (430 ცალი) – სავარაუდო წონით 18000 კგ.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატის ინსტიტუტში ჩატარებული რემონტის (გადახურვის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების) შედეგად მიღებული თუნუქის მასალის - სავარაუდო წონით 7000 კგ.